# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ.
ხშმგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მან.

ფასი 10 მან.

წელიწადი მეექვსე.

სამშაბათი, ღვინობისთვს 19. 1920

№ 125.



## ეროვნულ-დემოკრატიული
### პ რტიის მთავარი კომიტეტი

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.
მდივნის ნახვა შეიძლება დილის 9—1 საათამდე,



შვილები: იოსები, გიორგი, ანტონი, გრიგორი, ვლადიმერი გედევანის-ძენი და ასულნი: სოფიო, ნინო, ოლღა, ვერა; რძლები: ლუბა გრიგოლის ასული, ანნა ალექსანდრეს ასული და თამარა, სიძეები, მინა იაკოფის ძე მინასოვ ლარსკი და კლიმენტი სიმონის ძე ჩხეიძე გულდაწყვეტილნი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, სამშაბათს ღვინობისთვის 19 ს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

**მელანია თადეოზის ასულის ჩადევანიშვილისა**

სულის მოსახსენებლათ. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე.



ევროპიდან ახლად დაბრუნებული

**ბ-ნი ტიტე მარგველაშვილი**

ხუთშაბათს, *21* ოქტომბერს ქ. ბათომში

წაიკითხავს ლექციას

,,სოციალიზმი და ევროპის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა''

თეზისები:
1) სიმდიდრეთა განაწილების პროცესი,
2) წარმოება და მუშები,
3) წარმოების ლაცემა.
4) ევროპის დავალიანება,
5) მუშათა კავშირები.
6) სოციალისტური პოლიტიკა,
7) სოციალიზმის მარცხი,
8) საქართველო და სოციალიზმი
9) საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა,
10) ევროპა და საქართველო (ეკონომიური პარალელი),

სტუდ. და მოსწავ. კომიტეტი.



ორშაბათს 18 ოქტომბერს
გამოვიდა ყოველ-კვირეული გაზეთი
,,ცისფერი ყანწელების''

**,,ბარრიკადი''**

პოეზია, ესტეტიკა, პოლიტიკა.

რედაქტორი **ტიციან ტაბიძე**

მისამართი: სასტუმრო ,,კავკაზი''
№№ 44—45.



## სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

**ს ე ზ ო ნ ი 1920—1921 წ ლ ი ს ა**

დღეს, ღვინობისთვის 19-ს

## ო ი დ ი პ ო ს მ ე ფ ე

ტრაგედია სოფოკლესი, თარგმანი კონსტან ანდრონის.

შემსრულებელნი: სუზანა ბეჟანიშვილი, ბაბუცა გამრეკელი, ნინო გამრეკელი-თორელი, მიხეილ გელოვანი, ნინო დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, ალექსანდრე ...დაშვილი, პლატონ კორიშელი, არეთა ლოლუა, მიხეილ ლორთქიფანიძე, ...დრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, თამარ ქავთარაძე, ...გია ფრონისპირელი, ელენე ციმაკურიძე, ანნა ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, ვერე ჯიქია.

რეჟისორი მიხეილ ქორელი.

**დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.**

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აღკრძალულია.

**ანონსი:** ხუთშაბათს ღვინობისთვის 21 ს ,,სიცრუე''
შაბათს, ღვინობისთვის 23 ს ,,ოიდიპოს მეფე''

ბილეთები იყიდება დილის *11* საათიდან ნაშუადღევის **3** საათ. და საღამოს **6** საათიდან **10** საათამდის,

79. 1.



**პირველი ,,ნად კურორტი''** ხარისხოვანი სადილო

მიიღება ყოველგვარი სადილისა და ვახშამის ამხანაგური შეკვეთა, რომელსაც თან მოჰყვება **საუცხოვო სასმელები**

სამზარეულოში იმოვება კავკასიურ-ევროპიული საჭმელები. ორი თავი სადილი, არჩევით **120 მანეთად.**

აგრეთვე არის კარგად მოწყობილი

**კაბინეთები** მოსასვენებლად

დირექცია

2—1 3203



კინემატოგრაფიული ოტელიე

**,,ცეკავშირი''**

დღეს ეკრანზე აჩვენებენ კინემოდან

**,,მ ი ნ ი ო ნ ი''**

ევროპის სოც. დემოკრატიის ჩ მოყვლა საქართველოში და მოგზაურობა ევროპ. ნეცაში
თბილისი საქართველოს უველს მხატვრული კუთხეები ქართველი დემოკრატიის უდიდესი საზეიმო დღეები.

დღეს ყველამ უნდა ნახოს ის, რაზედაც მთელი ევროპა ლაპარაკობს. ეს სურათი საინტერესოა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ევროპიელთათვისაც რომელშიდაც სავსებით ასხმულია საქართველოს ლამაზი ბუნება; ეცადეთ ნახოთ უაზბეგი, რომელიც საქართველოს საზღვრავს ბოლშევიკური რუსეთიდან.

2—1 3197



გ ა ხ ს ნ ა

**რესტორანი ინტერნაციონალი**

სასტუმრო ,,ინტერნაციონალთან'' (თავისუფლების მოედანი)

**პირველი ხარისხოვანი სამზარეულო**

მუსიკა კაბინეტები | საუკეთესო სმელ სასმელები

5—8311



## განცხადება

ამა წლის *14*-ს ნოემბერს *12* საათზე აღბულაღის თემის დარბაზში (აღბულაღში) დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

500 წიფლის ხეებისა დაბეჭდილი აგარაკებში: „დრონეთი", „ჯიგრაშენი", „გუდარეხი" და 500 მუხის ხეების დაბეჭდილი აგარაკებში: „ღორის-თავი", „ციხნარი" აღბულაღის სატყეოსი.

ხეები დაბეჭდილია საკასრო ფურებისათვის.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 9—2 საათამდი აღბულაღის სატყეო სამართველოში.

1—374—1

აღბულაღის ტყის გამგე: **ნუგრეშ-ძე.**


## ძალმომრეობის მოციქულები

ჩვენს ირგვლივ მდგომარეობა ერთობ რთულდება. ყველა ნიშნებია იმისა, რომ სულ ახლო მომავალში ჩვენ შევიქმნებით მოწმენი და ადვილი შესაძლებელია მონაწილენიც იმ მოვლენების, რომელნიც არსებითაც და გეოგრაფიულადაც გვიახლოვდებიან.

სამხრეთის ცა იკუმშება დღითი დღე: საომარი მოქმედება სომხეთსა და ოსმალეთის შორის თანდათან ძლიერდება და ახალ ფაზისში გადადის.

ჩვენი პროგნოზი მართლდება: სომხეთის რესპუბლიკას მტერი აწვება ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც და ეს მტერი არის რუსეთ აზერბაიჯანის ბლოკი. წარმოუდგენელი იყო, რომ მოსკოვს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო იმ ამბებში, რომელნიც პირველის შეხედვით არის პირდაპირი შედეგი ბაქოში მომხდარ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის დადგენილებისა. საბჭოთა რუსეთს ოსმალეთთან შეერთება ესაჭიროება, რათა წინააზიიდან განდევნოს ანტანტის მეთაური ინგლისი და შეამზადოს ნიადაგი აღმოსავლეთის ხალხების აჯანყებისათვის ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ამ მიზნის შესასრულებლად მოსკოვის მმართველები არ დაერიდებიან არავითარ დაბრკოლებას! რუსული კომუნიზმი მიექანება მუსტაფა ქემალ ფაშის საშველად და ლამობს ამ რიგად ჯერ ერთი იხსნას მთელი ოსმალეთი დანაწილებისაგან და მეორის მხრით ,,დასაჯოს'' ის სახელმწიფო ერთეულიც, რომელიც მონაწილეობას იღებს ოსმალეთის დაშლის პროცესში.

სომხეთმა უკვე მიიღო გაფრთხილება: საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელმა სომხეთში ლეგრანმა ერევანში ჩასვლისთანავე მრისხანეთ შეუთვალა სომხეთის მთავრობას, რომ მას ხელი აელო სომხეთის დამოუკიდებლობაზე!

სხვანაირად შეუძლებელია გაგება ლეგრანის მიერ წარდგენილი ულტიმატუმისა!

რას მოითხოვს კონკრეტულად კომუნისტების ელჩი სომხეთის მთავრობისაგან?

1) სომხეთის ტერიტორიაზე ყველა გზებითა და მიმართულებით რუსეთის საბჭოთა ჯარებს უნდა მიეცეთ სრული უფლება გადავიდნენ ოსმალეთში ქემალფაშას ჯართან შესაერთებლად ანტანტის საწინააღმდეგოდ.

2) სომხეთმა უარი უნდა სთქვას სევრის ხელშეკრულებაზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო სომხეთის წარმომადგენელმა და რომლის თანახმად ოსმალეთი ხელს იღებდა სომხეთის სასარგებლოდ ვანის, ბითლისის, არზრუმის და ტრაპიზონის ვილაიეთებზე.

კულტურული კაცობრიობა თავის დროზე აღშფოთებული იყო იმპერიალისტურ გერმანიის მიერ ბელგიის სუვერენიტეტის ხელშეხების გამო და მოითხოვდა საერთაშორისო ნორმების ყველასათვის სავალდებულო შესრულებას.

დღეს ჩვენს თვალწინ უკიდურესი სოციალისტები ცინიკურად გამოდიან თვით გამორკვეულ ერთა უფლების დასათრგუნვად თავის ეგოისტურ მიზნების განხორციელებისათვის! რა ადვილი ყოფილა მყვირალი ფრაზების წამოსროლა და სათნოების სამოსელში გამოხვევა.

სოციალისტებს თავი იმით მოჰქონდათ, რომ ,,იმპერიალისტურ'' სახელმწიფოების ზრახვებს სიტყვით ყველგან და ყოველთვის ებრძოდნენ, მაგრამ როდესაც თვითონ ეს სოციალისტები მოექცნენ ზოგიერთ ქვეყნებში სახელმწიფოს სათავეში, მათ მყისვე დაივიწყეს თავისი დამაიმედებელი აღთქმანი და სინამდვილეში შეუდგნენ დაპყრობითი პოლიტიკის განაღდებას იმეთის სისტემით და სიმკაცრით, რომ ძველს დესპოტებს არც კი დაესიზმრებოდათ!

ბოლშევიკიური რუსეთი ევროპის ფრონტზე უმაგალითოდ დამარცხდა,

სახელმწიფო თეატრი

## ოპერა

19 ოქტომბერს

**გოფმანის ზღაპრები**

მონაწ. ბოიარსკაია, ერმოლინსკაია, ზალიპსკი, საბინინი და სხვა.

20 ოქტომბერს

**მარგ. მაძიებელნი**

21 ოქტომბერს

**მანონი**

22 ოქტომბერს

მესამე ბალეტის საღამო მორდკინის

დასაწყისი სრული 7 ნახ. საათზე სად. წარმოდგენის დროს შესვლა საყურებელ დარბაზში აკრძალულია

ოპერის დირექტორი: ს. ი ევლახიშვილი.

# დღე.

მიუხედავათ დროებითი ზავის დადებისა პოლონელებმა მანსკი აიღეს, და რუსეთის წინააღმდეგ იერიშებს განაგრძობენ.

აღმოსავლეთ რუსეთის მთავრობის სახელით სემიონოვი, უკრაინის სახელით პეტლიურა, ბარონ ვრანგელი, სავინკოვი და გენ. ვოლხოვიჩი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საერთო სამხედრო კავშირს სდებენ.

ფრანგული ცნობებით მარშალი პილსუდსკი თანამდებობიდან გადადგა.

სომხეთის მთავრობამ უარჰყო ბოლშევიკების ულტიმატუმი სომხეთის ტერიტორიაზე მათი ჯარების გაშვების შესახებ ქემალის ჯართან შესაერთებლად.

იგუმენოვის ნაპირზე ქართველების ჯარსა და ვრანგელის ყაზახებს შორის შეტაკება მოხდა.

## წერილები.

მეთაური: ძალმომრეობის მოციქულები.
პრესა: ,,ნორ-აშხატავორი''.
ორიოდე მაგალითი: მ. ადამიშვილი.
ნ. ნ. თავდგირიძე: ფიქრები და დაკვირვებანი.
,,ეკონომიური კატასტროფის'' წინაშე.
ჩვენი კორესპონდენტები: ველისციხე.

კომუნისტების ,,წითელი არმია'' თავ ზარ დაცემული გარბის მოსკოვისაკენ. პოლონეთი მას ფეხდაფეხ მისდევს და პირველხარისხოვან ციხე-სიმაგრეებს აცლევინებს... იქ რუსეთი ვეღარ გაიმართება წელში და ამიტომ არის რომ მთელი დაგუბებული ბოღმითა და მრისხანებით ის ეკვეთება ,,ნაკლები წინააღმდეგობის ხაზს''.

რუსი-კომუნისტი აღმოსავლეთს მოადგა!

ამიერკავკასიის პირველი ალაყაფი ბაქოს ყოფილმა მმართველებმა კომუნისტურ მოსკოვს ხალსით გაუფრიალეს, ხოლო ნანგრევების ქვეშ პირველნივე თვითონ მოჰყვნენ...

ჯერი სომხეთზე მიდგა: სომხის ხალხი დიდ პოლიტიკურ გამოცდის წინაშე სდგას. ან აქეთ, ან იქით,—სხვა გამოსავალი არ არის: სომხეთმა ანდა წაიჩოქოს მომალადის წინაშე, ან და მოიკრიბოს სახელმწიფოებრივი ენერგია და მთელის სიძლიერით წინაღუდგეს თავხედ მტერს...

სულ ახლო დღეები დაგვანახვებენ სამხრეთ მეზობლის ნაციონალურ ავლადიდებას.

საქართველოს უახლოვდება ცეცხლის კოცონი. ასეთი გართულებული პოლიტიკური კომბინაცია პირველად გვევლინება.

სიფხიზლე გვმართებს და მომაგრება...

## პრესა.

,,აშხატავორ''ი 17 ღვინობისთვის მეთაურ წერილში სწერს:

,,საქართველოს საზავო დელეგაციამ ვალად ჩასთვალა საკმაოდ ვრცელი წერილობითი პასუხისგაცემა ამერიკის მთავრობის უკანასკნელი ნოტის წინააღმდეგ, რომელიც, სთვლის რა კანონიერად პოლონეთის, ფინეთის და სომხეთის დამოუკიდებელ არსებობას, უარჰყოფს ამ უფლებას, სხვათა შორის, საქართველოს შესახებ.

ბუნებრივი და გასაგები იყო ქართული პრესსის და ოფიციალი წრეების აღელვება ამ ნოტის გამოქვეყნების დროს.

მაგრამ ჩვენის აზრით რაც უნდა საჭირო იყოს საერთაშორისო წესის თვალთსაზრისით ამერიკის ნოტასათვის პასუხის გაცემა, მაინც ერთი რამ არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ ყოველი ხალხის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ბოლოს და ბოლოს იმავე ხალხის ნებისა და ძალისაგან და ძლიერ ცოტა ვაშინგტონის კეთილშეხედულებისაგან.

ადგილი არ არის აქ იმისი განსამარტებლად, თუ რა რთული დიპლომატიური კომედიის ნაყოფი იყო უკანასკნელი ნოტა ამერიკისა რუსეთის საქმეების შესახებ.

ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს არსებობას ემუქრება არა ამერიკა ან მისი მეტად უადგილო ნოტები, არამედ ოსმალური ვანდალიზმი და ბოლშევიკური იმპერიალიზმი.

ზრდილობიანობის და დიპლომატიური ეტიკის თვალთსაზრისით ნოტაზე უნდა პასუხი გაცემულიყო უეჭველია, მაგრამ უფრო საჭიროა პასუხის დამზადება ქემალ-ბოლშევიკების თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც უკვე საქართველოს კარებს არახუნებს.

ნოტებას უნდა წერა, მაგრამ ნოტებში წამოყენებული ლამაზი აზრების ადვილშესათვისებლათ გასახდომათ, საჭიროა ძალის ჩვენება არსებობისადმი დამმუქრებელი რიალ ძალისათვის—ქართველმა დემოკრატიამ ეს ძალა უნდა გამოიჩინოს. დელეგაციის ნოტა დეე დარჩეს როგორც საბუთი (დოკუმენტი) ისტორიისათვის, ხოლო აქტიური ბრძოლა და ორგანიზაციულად მოწყობილი ძალა უნდა გამოჩენილ იქნას საქართველოს ფაქტიური ხსნისათვის. ვფიქრობთ, რომ მეორე უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე პირველი''.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ,,აშხატავორ''ის პუბლიცისტები ქართველ ხალხს ნოტაციას უკითხავენ დამოუკიდებლობის დაცვის საჭიროებაზე, იმ ქართველ ხალხს რომლის ხმალი მთელი ორ ნახევარი წლის მანძილზე ქარქაშში არ ჩადებულა.

დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში ქართველებმა ბევრი მაგალითი მისცა თუნდაც თავის მეზობლებს მაინც პოლიტიკური აღზრდისა და სომხეთზე მომდგარი საფრთხე დაგვიმტკიცებს, როგორ ითვისებენ ეს მეზობლები გაკვეთილებს...

## ორიოდე მაგალითი.

კ. თუმანიშვილის ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებამ გააკვირვა ქართველი საზოგადოება, რომელიც ფიქრობს, რომ საქართველოში არის კანონი და სამართალი. ჩვენს გაზეთში ბ ნმა გიორგი გვაზავამ ამ საგანს წერილი უძღვნა და მაგალითები დაასახელა.

მეც დავასახელებ რამდენიმე მაგალითს.

დღევანდელი მეფე ინგლისისა გიორგი 5 საფრანგეთში სცხოვრობდა ინკოგნიტოდ. მაშინ იგი მემკვიდრე ბრძანდებოდა. ზოგმა ინგლისურმა გაზეთმა ყვირილი ასტეხა: ჩვენი მემკვიდრე საფრანგეთში ქეიფობს, ქალებს დასდევს, ლოთობს და უზომოდ ჰფლანგავს ფულსაო. ამ დროს მეფე ედუარდი გარდაიცვალა. გიორგი დაბრუნდა ინგლისში და ტახტზე ავიდა. ცოტა ხნის შემდეგ გვირგვინოსანმა მეფემ ვექილი დაიქირავა და მეჭორე გაზეთებ სამართალში უჩივლა. იქ ყველაფერი ითქვა.

გაზეთების ჭორიკანობა და ცილის წამება დამტკიცდა. რედაქტორები დაისაჯნენ, ხოლო მეფის სახელი გადიდდა და გაბრწყინდა ასე უპასუხა ხვირგვინოსანმა მეფემ ჭორსა და პირად შეურაცხყოფას.

მეორე მაგალითი ყველას მოეხსენება, მაგრამ მისი მოგონება მაინც საჭიროა და სასარგებლო.

გერმანიის გადაყენებული იმპერატორის ვილჰელმის პაპამ, იმპერატორმა ვილჰელმმა განიზრახა თვისი პოტსდამის სასახლის დამშვენება და გაფართოვება. სასახლეს გვერდით ედგა უბრალო წისქვილი. საჭირო იყო მისი დანგრევა, მაგრამ მეწისქვილე ახირდა და იმპერატორს სამართალში უჩიკლა. მეწისქვილემ საქმე მოიგო. იმპერატორი მოლბა. იგი მოურიგდა მეწისქვილეს და გადაუხადა ხვედრი, მაგრამ წისქვილი ხელუხლებლივ დასტოვა გერმანელთა სახსოვრად და სთქვა. ,,ეს წისქვილი უფრო დაამშვენებს გერმანიას, ვიდრე უზარმაზარი მარმარილოს სასახლეო''. ამის გამო სთქვეს და დღესაც იმეორებენ: ,,ჯერ კიდევ ყოფილან ბერლინში მოსამართლეებიო''. გვერდ მოგრეხილი წისქვილი დღესაც ამშვენებს პოტსდამს და უფრო ამაყად გამოიყურება ვიდრე მეფის უშველებელი სასახლე.

ვილჰელმ 2 ს ფერმა ჰქონდა პრუსიაში. მისი საქონელი მეზობელი გლეხის მამულში გადავიდა და მოსძოვა. გლეხი სამართალში წავიდა და ზარალის ანაზღაურობა მოითხოვა. იმპერატორმა ჯარიმა გადაიხადა.

მე განგებ დავასახელე სამი მაგალითი მეფეთა ცხოვრებიდან. დემოკრატიულმა ევროპამ ასეთი მაგალითები ათასობით იცის. საკითხავია: თუ გვირგვინოსანნიც მუხლს იდრეკდნენ ზოგჯერ სასამართლოს წინაშე, რატომ არ შეეძლო ჩვენს სასამართლოს გაერჩია საქმე კ. თუმანიშვილისა და ჩაესვა იგი ციხეში მთავრობის თავმჯდომარის შეურაცხყოფისთვის?

ან იქნება ჩვენი მთავრობა არ ენდობა თავისსავე სასამართლოს.?

კიდევ მაგონდება ერთი მაგალითი:

საფრანგეთის პრეზიდენტს ფალიერს 1909 წელს ეცა გადარეული ვინმე ,,კამლო'' და წვერი დააგლიჯა, პიროსახე ჩამოაკაწრა. ,,ბურჟუაზიულ'' საფრანგეთში აზრადაც არავის მოსვლია დამნაშავის დასჯა ადმინისტრატიული სასჯელით. სასამართლომ იგი რამდენიმე თვით ციხეში ჩასვა.

**მ. ადამაშვილი.**

## ,,ეკონომიური კატასტროფის'' წინაშე.

მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ჟორდანიამ ღვინობისთვის 13 თბ. ქალაქის საბჭოს დარბაზში გამართულ ეკონომიურ თათბირზე წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა რესპუბლიკის ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. მოგვყავს ხსენებულ სიტყვიდან ზოგიერთი ადგილები;

**„ჩვენ უკვე მივედით“.**

,,ამ რამოდენიმე წლის წინად ჩვენ ვამბობდით; რომ ეკონომიურის მხრივ ჩვენ კატასტროფისკენ მივისწრაფითო. შემდეგ ეს რამდენჯერმე იქნა განმეორებული: ასე რომ ამ სიტყვებს კიდეც შეეჩვივნენ თითქოს და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. მაგრამ დღეს ეს სიტყვები უკვე გამართლებულია; დღეს თვითეული ჩვენგანი გრძნობს, თვითეული მწვავეთ განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისაკენ, ჩვენ უკვე მივედით იქამდე ძველი გზით.

,,და აი დღეს ჩვენ წინა სდგება შემდეგი დილემა: ან უნდა გადავიჩეხოთ უფსკრულში, ე. ი. ჩვენ უნდა გავადიდოთ ხელფასი, მოვსჭრათ ახალი ბონები; ამით საქონელი ბაზარზე კიდევ უფრო გაძვირდება, ცხოვრება აირევ დაირევა და შესაძლებელია, ყველაფერი ეს დათავდეს სრული სახელმწიფოებრივი კრახით. ან და უნდა შეეძლოთ ძველი მდგომარეობის აღდგენა, უკან დაბრუნება და მით დაძლეული გვექნება კატასტროფა''.

**,,ემხიის შედეგი''.**

,,ჩვენ მოგვიხდა ომის წარმოება, გაგვიჩნდა აუარებელი ხარჯები. ჩვენ ვიცოდით, რომ ხარჯების დაფარვა უკეთესი იყო სესხით. მაგრამ ჩვენ ვერც უცხოეთში, ვერც ჩვენში სესხს ვერ ავიღებდით. მაშასადამე, იძულებული შევიქენით დავმდგარიყავით ემისიის გზაზე, გამოგვეშვა ფული, მიგვემართა რუსულ სისტემისათვის. ამით ჩვენ უარის მდგომარეობაში ჩავვარდით, ვინემ საბჭოთა რუსეთი. უკანასკნელი მოწყვეტილია უცხოეთს, იგი გარშემორტყმულია ბლოკადით; ჩვენ კი ამ მხრით თავისუფალი ვართ, შემდეგ კი, როდესაც რუსეთს დამოკიდებულება ექნება უცხოეთთან,—იგი უფრო ადვილად შესძლებს კურსის წონა სწორობის აღდგენას, ვინაიდან მას ამისთვის აუარებელი ოქრო ვერცხლი მოეპოვება. მთავრობამ იქ კერძო პირთ ჩამოართვა ეს სიმდიდრე''.

**შრომის ნაყოფიერების დაცემა.**

,,ასეთი ფატალური გავლენა არ ექნებოდა ემისიას რომ ჩვენი წარმოება მაინც არ დაცემულიყო. სამწუხაროდ, ამ მხრივ მეტათ უნუგეშო მდგომარეობაა: შრომის ნაყოფიერება თითქმის სისტემატიურათ ვცემა და არავითარი წინსვლა არ ეტყობა, აი ზოგიერთი ცნობები ამის საილუსტრაციოთ:

მთავარ სახელოსნოების ,,კოტელნი ცეხში'' 14 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების სურათს მივიღებთ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 წელში | — | 100 პროც, | |
| 16 | „ — | 82 „ | |
| 20 | „ — | 41 „ | |

,,კუზნეჩნი ცეხში'':

| | | |
|---|---|---|
| 14 წელში | — | 100 პროც. |
| 16. | ,, — | 131 ,, |
| 17 | ,, — | 94 ,, |
| 20 | ,, — | 42 ,, |

,,ვაგონის ცეხში''

| | | |
|---|---|---|
| 14 წელში | — | 100 პროც. |
| 16 | ,, — | 181 ,, |
| 17 | ,, — | 91 ,, |
| 20 | ,, — | 41 ,, |

,,სბორნი ცეხში'':

| | | |
|---|---|---|
| 14 წელში | — | 100 პროც, |
| 20 | ,. — | 85 ,, |

**,,გამორჩენის'' ფსიქოლოგია და ბოროტ მოქმედება.**

,,ჩვენში ბევრი გაურბის შრომას; ანებებენ თავს სოფელს და მიდიან ქალაქებში ალაგის საძებრათ. ,,ალაგის ძებნამ'' ამ ბოლო დროს ფართო ხასიათი მიიღო, დიდდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეების შტატები რაც ზედმეტ ხარჯს ითხოვს და გასავალს ადიდებს დაწესებულებებში მეტათ გავრცელდა აგრეთვე ბოროტ მოქმედება. ძნელი მოსანახი იქნა ისეთი პირი, რომელსაც რაიმე საქმის გაკეთება მიანდო და მან ცოტა მაინც არ ,,ჩამორჩეს''. ასეთ მოვლენებთან სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. ეს ზომები გატარებულ უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალურ დაწესებულებებში.

**„ხელგაშლილობა''**

„აღსანიშნავია ერთი გარემოება: ჩვენ დაგვჩემდა ზედმეტი ხელგაშლილობა; იხარჯება აუარებელი სიმდიდრე,—იმდენი, რამდენიც წინათ არ იხარჯებოდა; სამაგიეროთ ღირებულება იქნება ძლიერ ცოტა.“

**კერძო ინიციატივა თუ საზოგადოებრივი მეურნეობა?**

ჩვენ ვამბობდით: საჭიროა წარმოებას ხელი მოჰკიდონ ჩვენმა თვითმართველობებმა ერობებმა და ქალაქებმა.? ეს არ ნიშნავდა, რასაკვირველია, კერძო ინიციატივის ჩახშობას. ერობებმა და ქალაქებმა კი უმთავრეს ნაწილათ ეს ისე გაიგეს, რომ მათ მეტი არავინ არ უნდა აწარმოებდესო. ამას არ უნდა ექნეს ალაგი მომავალში.

**მუშათა კლასი და შრომა.**

მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა თვით მუშათა ორგანიზაციებმა მიაქციონ ყურადღება წარმოებას, შრომის ნაყოფიერებას თვალ ყური ადევნონ, რათა არ იქნეს დაცემული ნაყოფიერება; ამ ორგანიზაციებმა თვითონ უნდა მიიღონ მონაწილეობა მუშაობის კონტროლში.

მაშასადამე ჩვენი უპირველესი მიზანი უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების გაზრდა, საწარმოო ძალთა განვითარება, რასაც შედეგათ ის მოჰყვება, რომ აღდგენილი იქნება წონასწორობა ჩვენს იმპორტსა და ექსპორტს შორის, დამყარდება მტკიცე პროპორცია ფულსა და საქონელს შორის.

**სახელმწიფო და კომუნა.**

სახელმწიფოთა და მუნიციპალურ დაწესებულებებს, კომუნებს შორის ხშირათ გაუგებრობას აქვს ალაგი, კომუნები ხშირათ აჭარბებენ თავიანთ უფლებებს და ისეთ დადგენილებებს სცემენ, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. პარტიკულიარიზმი დემოკრატიზმის ფლაგით გაძლიერებულია ჩვენში და ის ანგრევს სახელმწიფოს მთლიანობას. ჩვენს პარტიაში ამაზე არ არის ნათელი წარმოდგენა.

**სოფლის ბურჟუაზია.**

წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი არის მეჩხანური კუთხური სივიწროვით და ჩამორჩენილობით გამოწვეული, წვრილი ბურჟუა არასოდეს არ იხედება თავის სამრევლოს იქით და ვერ დადგება ერის მთლიანობის საფუძველზე. მას არასოდეს არ აუშენებია—სახელმწიფო და ვერც დღეს ააშენებს.

**პროლეტარიატი და მრეწველი ბურჟუაზია.**

სახელმწიფოებრივ ნიადაგზე შეუძლია იდგეს მხოლოდ საზოგადოების ორ კლასს—პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას.

**მენშევიკური სოციალიზმი და სოფლის ბურჟუაზია.**

„ჩვენ სოციალისტები ვართ არა მარტო სიტყვით, [illegible] რათ ჩვენი [illegible] წვრილ—ბურჟუაზიულ სახეს, რაც აიხსნება გლეხური უმრავლესობით საქართველოში; ამას სასტიკათ უნდა შევებრძოლოთ.

# უცხოეთში.

**პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობა.**

გაზ. „ინტერნაციონალი“-ს თანამშრომელს პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ საუბარი ჰქონდა ფინანსთა მინისტრთან გრაბსკისთან. მინისტრმა განაცხადა:,, პოლონეთის სახელმწიფო ბიუჯეტი ჩვეულებრივი ბიუჯეტზე ოთხჯერ მეტია. სახელმწიფოში ტრიალებს 30 მილიარდზე მეტი კრედიტი. დარჩა ორი გზა: იძულებითი შინაური სესხი და უცხოეთის სესხი. მიუხედავად გამარჯვებისა პოლონეთის ვალიუტა კრიტიკულ მდგომარეობაშია და შეიძლება ზავის შეკვრის შემდეგ სავსებით დაეცეს

წინად პოლონეთი არ უშვებდა უცხოეთის კაპიტალს, მაგრამ ეხლა ირკვევა, რომ ვერც ამას გავექცევით“.

**მთელი ქვეყნის სავაჭრო ფლოტი.**

თანახმად ,,ლოიდ-რეჯისტერის''ცნობისა 1914 წლ. ივნისის 21 მთელი ქვეყნის სავაჭრო ფლოტის წყალწყვა 45.404.000 ტონს უდრიდა. 1920 წ. ივნისის 3 ს კი 53.905.000 ტონს ამ რიგად ომის განმავლობაში ფლოტის წყალწყვა 19 პროც. გაიზარდა. აღნიშნულ დროის განმავლობაში გერმანიამ დაკარგა 4.716.000 ტონი, ავსტრო-უნგრეთმა 1.052.000 ტონი, დიდმა ბრიტანეთმა 781.000 ტონი, საბერძნეთმა 32.0.. ტონი, დანიამ 51.000 ტონი და შვეციამ 19.000 ტონი. ამერიკის ფლოტი გაძლიერდა 10.379.000 ტონით იაპონიის 1.288.000 ტონით, საფრანგეთის 1.041.000 ტონით, იტალიის 688.0.. ტონით, ჰოლანდიის 301.000 ტონით, ესპანიის 53.000 ტონით, და ნორვეგიის 23.000 ტონით. ომამდე უძლიერესი სავაჭრო ფლოტი ქონდა ინგლისს. ამ ფლოტის წყალწყვა 20.524.000 ტონს უდრიდა, რაც მთელი ქვეყნის წყალწყვის 4—5 პროც. შეადგენდა. ამჟამად ინგლისის სავაჭრო ფლოტის წყალწყვა 20.143.000 ტონს უდრის, რაც მთელი ქვეყნის წყალწყვის მხოლოდ 37 პროც. შეადგენს. ამერიკის სავაჭრო ფლოტი აღნიშნულ 6 წლის განმავლობაში ექვსჯერ გაიზარდა, იყო 2.027.000 ტონი ამ ჟამად კი 12.406.000 ტონს უდრის.

## აზერბეიჯანი.

აზერბეიჯანის შერთება რუსეთთან.

გამოქვეყნდა დეკრეტი რუსეთ-აზერბეიჯანის ,,ახალი შეთანხმებისა''. ამ დეკრეტის ძალით აზერბეიჯანი სავსებით შეუერთდა რუსეთს. დეკრეტის თანახმად საერთო იქნება ჯარი, ფინანსები, გზა, საგარეო პოლიტიკა, ვაჭრობა, ფოსტა და სხვა. პასუხისმგებელი მოხელეები მოსკოვიდან ინიშნებიან.

,,ჩრეზვიჩაიკი''ს დატუსაღება.

ბოროტმოქმედების გამო ბაქოში შეიპყრეს ჩრეზვიჩაიკის მთელი შტატი მეზღვაურის ლ ონინის მეთაურობით. ლიონინის ცოლმა აქ აჰდა ბრილიანტები და დიდძალი ფული, რომელსაც ის ღებულობდა ქრთამის სახით.

— საგარეო საქმეთა კომისრად ინიშნება ბუდუ მდივანი.

— ყველა უცხოეთის ქვეშევრდომი ტუსაღები თავისუფლდება, გარდა ინგლისელებისა.

**,,ვოლნი გორეცის ცნობები''**

**ბოლშევიკების ახალი კონსული სომხეთში.**

მოსკოვის საბჭოთა მთავრობის კონსულათ სომხეთში დანიშნულია კონსტ. დიგუროვი, რომელიც თავისი ოჯახობით და მდივან თ. ს. გოლიევით თბილისში ჩამოვიდა. ორივე შთამომავლობით ოსია.

კ დიგუროვი რევოლუციის დასაწყისიდან 1920 წლამდე თავს სოციალ-დემოკრატათ სთვლიდა. დენიკინის მიერ თერგის ოლქის აღების დროს იგი საქართველოში გამოიქცა, მაგრამ აქ ბოლშევიკებთან ურთიერთობისათვის დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. შემდეგ იგი ციხიდან გაანთავისუფლეს ,,საიმედო'' პირების ოწმუნებით, რომ კ. დიკუროვი სოც.-დემოკრატია და არა ბოლშევიკი.

მეტეხის ციხიდან გამოშვების შემდეგ, კ. დიგუროვი, როგორც ოსი მენშევიკების პარტია ,,კერმენტი'' ჩაეწერა და თერგის მხარეში დაბრუნდა, ბოლშევიკური მუშაობისათვის.

დიგუროვი ძალიან სცდილობდა, რომ თბილისში დაენიშნათ საბჭოთა მთავრობის კონსულათ, მაგრამ რადგან აქ ვერ მოხვდა, ეხლა ერევანში მიემგზავრება.

მის მდივანს ასეთივე წარსული აქვს. ბნელი საქმეები კავკავის ,,რეკაში''.

კავკავის ,,რეკას'' თავმჯდომარე დევერცალი გაწვეულ იქნა მოსკოვში თვით მასზედ ამ ამბავმა თავზარდამცემი შტაბეჭდილება მოახდინა და წასვლის წინ განაცხადა, რომ ეს ნაყოფია ,,ქართული კამპანიის'', რომელიც კავკავშია ჩამჯდარი, მაგრამ მათ იგი გაუსწორდება.

ეხლა ქალაქში სენსაციაა: უგავლენიანესი ქართველი ბოლშევიკები: ელერდოვი—შინაგან საქმეთა კომისარი, კოტე ცინცაძე—,,რეკას'' თავმჯდომარე და სხვანი გაწვეულნი არიან მოსკოვის სასამართლოში'': ამ ამბების შესახებ კავკავში სხვა და სხვა ხმები დადის.

**მთიელების მობილიზაცია.**

კავკავიდან მიღებული ცნობებით იქ ამ დღეებში ჩავიდა ქემალ ფაშის ელჩი მოსკოვის მთავრობასთან ბექირ-სამი კურდუხოვი. როგორც ამბობენ, ჩაძასულა მოსკოვის მთავრობის თხოვნით, რათა გავლენა მოახდინოს მთიელებში, რომელნიც თანახმანი არ არიან სამობილიზაციოთ გასვლისათვის.

**ბოლშევიკების ცნობები მახნოს შესახებ.**

საბჭოთა რადიო იტყობინებოდა, რომ ცნობილი მახნო. ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა—ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება; საქმე შემდეგშია:

მახნო მოხვდა საბჭოთა და ვრანგელის შუაში ისე რომ თავი გადაერჩინა ბოლშევიკებს მიმართა წინადადებით დაპირდა, რომ მათ წინააღმდეგ მომართავდა თავის ძალებს და მხოლოდ ვრანგელს ეომებოდა. თუმცა ასეთი განცხადება, საბჭოთა მთავრობის აღიარებათ არ ჩაითვლებოდა, უკანასკნელი მაინც დასთანხმდა ხელი არ ეხლო მახნოსათვის, და მით არ გაერთულებინათ ბრძოლა ვრანგელთან.

ეხლა, მახნო ებრძვის ვრანგელს, მაგრამ არავითარი პირობით არ არის შეკრული ბოლშევიკებთან.

**მთიელების საბჭოთა რესპუბლიკა.**

,,Вольный Горецъ'' ი სწერს:

კავკავიდან მიღებული ცნობებით დღეებში მოელიან მთიელების საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებას რაც განსაკუთრებით, ქემალ ფაშის წარმომადგენლების მუშაობის ნაყოფია. ქემალ ფაშის წარმომადგენლობას მოსკოვში მეთაურობს გენ. კუნდუხოვის გვარის ლობიდან გამოსული ბექირ სამი რომელიც ენვერ ფაშასთან ერთად ქინებით ითხოვენ მთიელთა რესპუბლიკის აღიარებას და მათ შესძლებ თანხმებიათ მოსკოვის ცენტრალური მთავრობა.

ასეთია ცნობები, რომელნიც მთიელთა ხალხებში ვცელდება და რამდენად შეეფერება იგი სიმართლეს, ძნელი თქმულია, მხოლოდ ერთი რამ არის აშკარაი:

ბოლშევიკების მდგომარეობა თერგის მხარეში მეტად კრიტიკულია და მხოლოდ მხეცური შურის ძიების შიში ძულებს ხალხი თავ მოღუნული დადგეს დროებით ბოლშევიკური მართველობის ქვეშ, რომელნიც გარდა სრული ეკონომიური ნგრევისა, ყაჩაღობისა, უსრულებელი სამოქალაქო ომისა სისხლის მორევის გარდა, მთიელებისთვის არაფერი არ მოუცია.

## სომხეთ ოსმალეთის ომი.

საბჭოთა მთავრობის ულტიმატუმი სომხეთს.

თბილისში მიღებული ცნობებით, ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა სომხეთის მთავრობასთან ლეგრანმა, სომხეთის მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიც აღნიშნულია დებულება, რომლის მიღების შემდეგ ლეგრანის განცხადებით შესაძლებელი იქნებოდა მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება სომხეთსა და საბჭოთა მთავრობის შორის, დებულებანი ასეთია:

1) სოხუმთა თავისუფლად უნდა [illegible]

ბით, ბოლშევიკების ჯარები, ქემალ ფაშის ჯარებთან შესაერთებლად.

2) სომხეთმა უნდა უარჰყოს სევრის ხელშეკრულება.

სევრის ხელშეკრულებით, რომელიც 10 მარიამობისთვეს დაიდო ანტანტასა და ოსმალეთს შორის და ხელმოწერილი იქნა სომხეთის წარმომადგენლის მიერ, აღიარებულ იქნა გაერთიანებული სომხეთი და მას მიეკუთვნეს ვანის, ბითლისის, ეზრუმის და ტრაპიზონის ვილაიეტები, რომელნიც ამ ჟამად ოსმალეთის ხელში იმყოფებიან და ფაქტიურად კი, ქემალ-ფაშის ჯარების მოქმედების ფარგალში შედიან.

თბილისში ჯერ არ გამოუციათ და წვრილებითი ტექსტი ნოტისა და სომხეთის პასუხი, მაგრამ როგორც სომხეთის წრეები იუწყებიან, სომხეთის მთავრობამ გადაჭრილი უარით უპასუხა ლეგრანს.

### მდგომარეობა ფრონტზე.

სომხეთის დიპლომატიურ მისიისაგან.

ოპერატიული ცნობა სომხეთის ლაშქრის მთავარსარდლის შტაბისა.

13 ღვინობისთვეს ჩვენმა აეროპლანებმა ნიშანში ამოიღეს ს. დოლბანდუ და ყუმბარები ჩაჰყარეს იმ ალაგას საცა დიდძალ გადასაზიდ ეტლებს მოეყარათ თავი.

კაღიზმანი ქურუბი.

13 ღვინობისთვეს ნაშუადღევს დაეცნენ ს. ხვადიმს, მაგრამ ამ სოფლის მცხოვრებლებმა გაგზავნეს ჯარები.

სარაყამიშის მიმართულებით.

15 ოქტომბერს ჩვენ წინმსვლელობას სუმუდამ კაიანის ხაზზე მტრის ძალა შეხვდა და დიდ ძალების გამო, რომელიც ოსმალებმა შემოიყვანეს ბრძოლაში ჩვენი იძულებული ვიყავით დავვეხია.

მერდენების მიმართულებით.

15 ოქტომბერს ომი კაჩხისის კოკნდაჩის მთებთან ბრძოლა შეწყდა. ჩვენი ნაწილები თვის ყოფილ პოზიციებს იკავებენ.

ორდუბათისაკენ.

ორდუბათის თათრის ბანდებმა ს. კანაპესკენ გაილაშქრა საცა „ნჟდე"-ს მდგომარეობა ძლიერია. ამ მიმართულებით „ნჟდე"-მ დაიკავა მთელი წყება სოფლებისა.

14 ოქტომბერს.

მერდენეკის მიმართულებით.

ს. დემურთაფას რაიონში 14 ღვინობისთვის გათენებისას ჩვენი ქვეითა ჯარი თოფის გაუსროლელად მტრის სადარაჯოს მოუახლოვდა და ერთბაშ თავდასხმით მტერი დააფთხო და განაძნია. ომი გრძელდება. მტრის მხრივ ს. დემურთაფი მხრივ არტილერია მოქმედებს.

სარაყამიშის მიმართულებით.

13 ღვინობისთვეს დაწყებული შეტევა ოსმალებმა კვლავ განაგრძეს და იმავე დღით გათენებისას გაარღვიეს მარჯვენა ფლანგი ჩვენი ჯარისა. დაიჭირეს ს. გერლამი და მთა კერახაჩი მაგრამ ჩვენ მოგვისწრეს რეზერვებმა და მტერი უკუვაქციეთ და დავიპყარით ისევ მთა კაოარაბი ს. იარძალი და მთა წმ. ილიასი და მდგომარეობა გამოვაუმჯობესეთ. ოსმალთა მხრივ მოქმედება 3 ბათალიონი ქვეითა ჯარი ორი ზარბაზანი და ესკადრონ დრაგუნით.

15 ოქტომბერი.

სარაყამიშის მიმართულები.

მზვერავთა კვლევა გრძელდება.

მერდენიკის მიმართულებით სიწყნარე.

მოხალისეთა ჩასვლა

გუმბრიდან იტყობინებიან რომ ტფილისიდან ჩავიდა დიდი რიცხვი მოხალისეთა, რომელთაც აღფრთოვანებით შეხვდა გარნიზონი მუშათა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და აუარებელი ხალხი. მოხალისეთ დიდი ოვაციები გაუმართეს.

ხატისოვის გამგზავრება.

დღეს მიემგზავრება ეროვნს რწმუნებული სომხეთის რესპუბლიკის სესხის აღების საქმისა კ. ი. ხატისოვი.

ტყვიისმფრქვევლებით შეიარაღებულნი. ბრძოლა გრძელდება. ბრძოლის შედეგს ხვალ დილით გამცნობთ, ოქტ. 17 საღამოს 10 საათიდან 40 წუთი.

პოლკოვნიკი მაჭავარიანი.

მთელი ღამის განმავლობაში ყაზახები გემზე აყავდათ. დილის 4 საათზე გემები უკვე ჰორიზონტზე იყო. ჩვენ დავიჭირეს 2 აფიცერი, მოკლულია 3 მილიციონერი, ერთი აზხაზი და რამდენიმე ჯარის კაცი, ყაზახთა დანაკლისი დიდია, მაგრამ მათ ყველა დაჭრილი და მკვდარი გემებით წაიღეს. ბნელი ღამისა და ჩვენ ძალთა სიმცირის გამო გემის ყაზახებით დატვირთვას ხელი ვერ შეუშალეთ. ღვინობისთვის 18 დილის 9 საათი და 30 წუთი.

პოლკოვნიკი მაჭავარიანი.

## ნიკო თავდგირიძე
## ფიქრები და დაკვირვებანი.

3

სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი საყოველთაო სავალდებულოა და მაშასადამე იძულებითი ხასიათისაა, ხოლო მეორე თავისუფალ ნებისყოფაზედ დამყარებული კავშირია. ამ მოსაზრებას თუ მივიღებთ მხედველობაში უნდა აღვიაროთ, რომ ეხლანდელ დემოკრატიულ წყობილებაში შემოღებული წესი, რომლის მეოხებითაც საზოგადოებრივ დაწესებულება — თვითმმართველობებს ძალდატანებითი ანუ ადმინისტრატიული უფლებანი მიენიჭათ ყოვლად მიუღებელია. ადამიანთა საზოგადოების განვითარება ორნაირი წესით ხდება: სახელმწიფოებრივი ორგანოების საშუალებით და კერძო ინიციატივის მეოხებით; პირველი საშუალებით ცხოვრების თანდათანი განვითარების წესი მყარდება, არსდება საერთო სავალდებულო ნორმები, რომელთა დარღვევა აღკრძალულია და რომელთა წინააღმდეგობა იძულებას დამორჩილებასა და სასჯელს იწვევს. მეორე მხარე საზოგადოებრივი განვითარებისა არის — კერძო ინიციატივა, — უფრო ზნეობრივ გავლენის და თავისუფალი მოქმედების სფეროა: აქ საერთო სავალდებულო ნორმა, ზოგიერთ ყველასათვის ერთნაირად მისაღებ ზნეობრივ მოთხოვნილებაზედ დამყარებულ კანონის გარდა, სხვა მომენტიც ხშირად ხელის შემშლელია, და საქმის შემაფერხებელი. კერძო ინიციატივა ადამიანის ინდივიდუალური თვისების სხვადასხვაობის განუწყვეტელ გამოხატულებაა; როგორც ყველა ინდივიდის სულიერ თვისებისათვის ერთნაირი საზომი და ნორმა არ შეიმუშავება, ისე ადამიანის კერძო მოქმედების სარბიელისათვის საზღვარის დადება ძნელია და ხშირად საქმისათვის მავნებელია. სახელმწიფოებრივი ორგანო, როგორიც უნდა იყოს ფორმა მართველობის, თავის ბუნებით ყველგან და ყოველგან კონსერვატიულია: თვით მთავარი ხასიათი მთავრობის მოქმედების არის ე. წ. უარყოფითი ფუნქცია: აკრძალვა, შეჩერება, დაშლა, დაკავება, შეზღუდვა; მართალია დადებითი ხასიათის ფუნქციებიც ითვლება მთავრობის მოქმედების საგნად, მაგრამ ეს მხარე ერთის მხრით მხოლოდ მაშინ ვითარდება, როცა სახელმწიფოს მდგომარეობა ყოველმხრივ შინაგანი და გარეშე საფრთხისაგან უზრუნველყოფილია, მეორეს მხრით ამ ფუნქციის განვითარება შეიძლება იმავე კერძო ინიციატივის მეოხებით; ამ მიზნით უმეტეს შემთხვევაში მთავრობა ემყარება კერძო ორგანიზაციებს. საზოგადოებრივი დაწესებულებებს ეს უკანასკნელნი კი იმდენად ძლიერნი არიან, რამდენადაც მათი ზნეობრივი გავლენა მეტია და ძალდატანებრივი მოქმედება ნაკლები. ყოველი საზოგადოებრივი დაწესებულება, როგორც კერძო ინიციატივის ორგანიზაციულად გამომხატველი, ყოველთვის ცხოვრების მოთხოვნილებას უნდა უწევდეს ანგარიშს; ცხოვრება კი, საზოგადოთ მუდმივი მოძრაობის პროცესია; ამიტომ საზოგადოებრივი დაწესებულება უნდა იყოს ელასტიური, თავის მოქმედებით, ცხოვრების მსვლელობასთან სისწრაფით შეფარდებული. სახელმწიფო და მისი საკანონმდებლო ორგანო კი ცხოვრების ცვალებად მდგომარეობას ვერ გაუწევს ანგარიშს: ის უფრო მუდმივ და ხანგრძლივ მოვლინებს ღებულობს მხედველობაში თავის მოქმედების საგნად. ამიტომ ხშირად ბუნებრივი ვითარება საზოგადოებრივი დაწესებულებათ აიძულებს ეკადოს შეიტანოს შესწორება სახელმწიფოსაგან გამოცემულ ნორმებში; ამ მხრივ საზოგადოებრივი ელემენტი თავის ბუნებით უფრო პროგრესიული უნდა იყოს და ხშირად მისსა და სახელმწიფოებრივ ორგანოთა შორის უნებლიეთი კომფლიკტი ანუ უთანხმოება უნდა ხდებოდეს. რა თქმა უნდა, ეს ინტერესთა წინააღმდეგობა იმდენად ნაკლებია, რამდენადაც სახელმწიფოებრივი წყობილება უფრო ხალხოსნურია, პოპულიარული; მაგრამ, რაც უნდა დემოკრატიული იყოს მთავრობა მაინც მისი მოქმედება უფრო კონსერვატიულია ვიდრე საზოგადოებრივი დაწესებულების.

### ვრანგელი საქართველოს წინააღმდეგ.

(გენერალური შტაბის ცნობა.)

ღვინობის, 17, ნაშუადღევის 3, საათზე კრეისერ „ალმაზის" კომანდირმა ულტიმატიური წინადადება გამოგვიგზავნა, მისთვის ნება დაგვერთვა რომ მას კრეისერზე ყაზახები შეეყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იმუქრებოდა, რომ იგუმენოვოს ნაპირებს სროლას აუტეხდა. ამაზე მე კატეგორიული უარი უპასუხე და წერილობით გადავეცი მას რომ სროლაზე ჩვენც სროლით ვუპასუხებთ. საღამოს 7 ნახევარ საათზე იგუმენოვოსთან მოვიდა ერთი გემი და წყალქვეშა ნავი, რომელთაც აგვიტეხეს სროლა, ნაპირზე გადმოსხეს ტყვიისმფრქვევლებით შეიარაღებული ყაზახები და ბრძოლა დაგვიწყეს. ბრძოლის დროს დაიჭრა მე-2 ბათალიონის ლეიტენანტი მაჭავარიანი და ერთი ჯარის კაცი. სხვების შესახებ ჯერ არაფერი გამორკვეულა. მტერს ებრძვის ჩვენი ბატარეია და ჯარის ნაწილი. გაგზავნილია აგრეთვე დამხმარე ძალა

# დეპეშები.

## გერმანული ცნობები.

ზარალის ანაზღაურება.

გერმანული პრესა საფრანგეთის განცხადებას იმის შესახებ, რომ ანტანტა გერმანიას ზარალის ასანაზღაურებლათ 170 მილიონ მარკას მოთხოვა სთვლის სულელურათ და ფანტასტიურათ.

მრეწველობა გერმანიაში.

შტინესი და რეინის სხვა მსხვილი მრეწველები დეპეშით აუწყებენ შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ოთხი „ფეჩი" გაფუჭდა და მუშაობა შეჩერდა. ისინი მოითხოვენ, რომ მთავრობამ დაიტოვოს საკმაო სათბობი მასალა გერმანიისათვის, რათა ამგვარად ეკონომიური ცხოვრება სრულებით არ დაიშალოს. მრეწველები აღნიშნავენ იმასაც, რომ საფრანგეთი ამხშირით უზრუნველყოფილია.

ნახშირი გერმანიისთვის.

ამერიკის ნახშირით დატვირთული მეორე გემი, რომლის წყალწყვა 1000 ტონს უდრის და რომელიც გერმანიის სამრეწველოებისათვის არის დანიშნული ჰამბურგში იტვირთება. ამ ნახშირის ღირებულება 14 მილი ნ მარკას უდრის ამ რაოდენობის ნახშირის გამოგზავნა ადასტურებს იმას, რომ გერმანიაში ნახშირის დიდი ნაკლებობა არსებობს.

გერმანიის ნახშირის საბჭომ გ ნიხილა რა ნაციონალიზაციის საკითხი განაცხადა: ამს შემდეგ რაც მესაკუთრეებისა და მომხმარებლების დელეგატებმა უარყვეს ნაციონალიზაციის კომისიის წინადადებანი, ყველა მხარე და მათ შორის მუშათა დელეგატებიც სეოიოზულათ სცდილობენ ამ საკითხის საუკეთესო გადაჭრას მიაგნონ. საგანგებო კომისიას იმედი აქვს, რომ ნახშირის საბჭოსთან ერთად იგი გადასწყვეტს ამ საკითხს.

გერმანელების ემიგრაცია ელზას ლორენიდან.

ფრანგული გაზეთების ცნობათა მიხედვით ელზას-ლორენის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ელზას ლორენიდან გერმანელების ემიგრაცია ნახევრათ ძალათ ხდებაო. ამის მიზეზია ის პოლიტიკური და ეკონომიური ზომები, რომელსაც საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლები ხმარობენ ელზას-ლორენში არა თუ მარტო გერმანულ შთამომავლობის პირთა, რომელნიც ელზას-ლორენში სცხოვრობენ, არამედ საფრანგეთში აღზრდილ და გაფრანგებულ გერმანელებსაც კი უნდობლობით უყურებს ადგილობრივი მთავრობა.

გერმანული სოციალისტები.

კასელში მომხდარმა სოციალისტურ უმეტესობის პარტიის მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის ყურადღება მიაქციონ გერმანიის საშინელ ეკონომიურ მდგომარეობაზე, რომელიც შედეგია გამარჯვებულ მოკავშირეთა მეტის მეტ მოთხოვნილებებისა, აგრეთვე ყურადღება მიაქცევიონ საერთაშორისო პროლეტარიატს დაკავებულ ოლქებში მცხოვრებ გერმანელთა მდგომარეობაზე, გერმანიის ერთა ლიგიდან გამორიცხვაზე და სამხედრო საქმეებში ჩარევის პოლიტიკის გაგრძელების საფრთხეზე. სხვა რეზოლიუციები აღნიშნავენ ანაზღაურების მოთხოვნილებების შეუძლებლობას.

## რუსეთის ცნობები.

რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე ომი მ ინც სწარმოებს.

მოსკოვი, ღვინობისთვის 18. ოპერატიული ცნობა. ღვ ნობ. 17. პოლოცკის რაიონში ჩვენი ჯარები სახელმწიფო საზღვრებისაკენ იხევს. მინსკის რაიონში პოლონელები განაგრძობენ შემოტევას, რომელსაც ჩვენები იგერიებენ, სლუცკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს რა მოპირდაპირის შემოტევა, თვით გადავიდნენ შეტევაზე და სლუცკის აღმოსავლეთით რამოდენიმე სოფელი აიღეს. ლუნინეცის მიმართულებით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს. სარნის მიმართულებით მდინარე აზორტის გასწვრივ მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. ნოვგოროდ-ვოლინის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ნოვგოროდ-ვოლინსკზე აღმოსავლეთით და სამხედრო აღმოსავლეთით 10 ვერსის მანძილზე მდებარე სოფლები აიღეს. სტარო-კონსტანტინოვის რაიონში მტერი არტილერიის ცეცხლის ქვეშ დიდი ძალებით აწარმოებს შემოტევას რომელსაც ჩვენში ნაწილები იგერიებენ. პროსკუროვის რაიონში მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ლეტიჩევის ფრონტზე სწარმოებს ცვალებადი ხასიათის ბრძოლა. ჩვენ ქალ-ლეტიჩევი დავიბრუნეთ. ბრისლავის რაიონში ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევას. ნიკოპოლის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას ნიკოპოლის წინა ღმდეგ აწარმოებენ. ალექსანდროვსკის რაიონში დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ალექსანდროვსკს დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსზე მდებარე სოფლები ავიღეთ. სინელნიკოვის რაიონში მოპირდაპირე ჩაპლინო პოლოგის რკინის გზის აღმოსავლეთით შეტევაზე გადმოვიდა, ჩვენმა ნაწილებმა მოკრიე იაიისა და კამლაგაჩის მდინარეთა შორის მდებარე ახალი პოზიციები დაიკავეს.

რუსეთ-პოლონეთის დროებითი ზავის პირობები.

რუსეთსა და პოლონეთს შორის დროებითი და წინასწარ ზავზე რიგაში ოქტ. 14 ხელი მოაწერეს დომბსკიმ და იოფემ. პირველ მუხლში იხადდება უკრაინისა და ბელორუსის დამოუკიდებლობა და აღნიშნულია საზღვარი რუსეთსა და პოლონეთს შორის. ხელშეკრულება გულისხმობს აგრეთვე მას, რომ მტრული მოქმედება ოქტომბრის 18 შეწყდება პოლონეთი პირობას იძლევა დახმარება არ გაუწიოს შეიარაღებულ ძალებით საბჭოთა მთავრობის მტრებს.

რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე ომი გრძელდება.

(მინსკის აღება.)

მოსკოვი. ღვინობისთვის 16. რადიო ცნობა. სპასკის და მოლოდეჩნოს მიმართულებით ჩვენი ჯარები ახალ პოზიციებისაკენ უკან იხევენ. მინსკის რაიონში მოპირდაპირე 100 ვერსის ფრონტის გასწვრივ მკაცრ შემოტევას აწარმოებს. მკაცრი ბრძოლების შემდეგ ღვინობისთვის 15 ჩვენმა ნაწილებმა დასტოვეს მინსკი სლუცკი სამხრეთით მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ნოვო ვოლინსკის რაიონში მოპირდაპირე განაგრძობს მკაცრ შემოტევას. ბორისლავის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა კონტრ შეტევით უკუ აგდეს მტერი და ხელთ იგდეს 9 ტანკი და 5 ტყვიისმფრქვეველი

## ს. დ. ს. მანქ. ცნობები.

დიპლომატიური კორპუსის მიღება.

პარიზი. საფრანგეთის პრეზიდენტმა მილიერანმა დიდის ამბით მიიღო დიპლომატიური კორპუსი, რომლის სახელითაც მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა ლონგარმა. ლონგარმა აღნიშნა მილიერანის ღვაწლი საფრანგეთის წინაშე

ვრანგელი და პეტლიურა.

— „ტანი" იუწყება: გენ. ვრანგელსა და პეტლიურას შორის მოხდა სრული შეთანხმება ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევის გეგმის შემუშავებაში.

პოლონელები და ებრაელები.

— ფრანგული პრესა გვაუწყებს: ვარშავაში დაშინსკის თავმჯდომარეობით პოლონელ ებრაელებს წარმომადგენელთა თათბირი მოხდა. დაშინსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობას კატეგორიულად გადაწყვეტილი აქვს როგორმე დააწყნაროს პოლონელებისა და ებრაელების ეროვნული ვნებათა ღელვანი და მათ შორის ურთიერთი ნდობა და პატივისცემა დაამყაროს.

ანტიბოლშევიკური მოძრაობა.

— „ტანი" გადმოქცემს: მოსკოვიდან მიღებულ სარწმუნო წყაროების მიხედვით ხარკოვისა და პოლტავის მიდამოებში ძლიერი ანტიბოლშევიკური მოძრაობა დაწყებულა. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ხარკოვის ევაკუაცია, რადგანაც სინელნიკოვის ახლო ვრანგელის ჯარებს განზრახული აქვთ აჯანყებულებთან შეერთება.

პარლამენტის შემადგენლობა.

სტოკჰოლმი. გაზეთების ცნობით ახლად არჩეულ პარლამენტის წევრთა შემადგენლობა ასეთია: სოციალ-დემოკრატები ყოფილან 76, კონსერვატორები 71, ლიბერალები 47, გლეხები 20, აგრარიები 9, მემარცხენე სოციალისტები 7.

ომში დამნაშავეთა სია.

ლონდონი. პარიზიდან მოსულ ცნობებით საფრანგეთს გერმანიასთვის გაუგზავნია მოთხოვნილება, რომ მან გამოაქვეყნოს საფრანგეთის სიაში აღნუსხულ ომში დამნაშავე პირთა სასჯელი, რომელიც მათ ლაიპციგის უმაღლესმა სასამართლომ მიუსაჯა.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა.

პრაგა. ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის ახალმა თავმჯდომარემ ჩორნიმ თავის დეკლარაციაში განაცხადა, რომ მის მიერ შედგენილი კაბინეტი არის გარდამავალი და რომ იგი განაგრძობს წინეთ არსებულ მინისტრთა კაბინეტის პოლიტიკას, ე. ი. ყოველგვარ ზომას მიიღებს სახელმწიფოს ძალა-უფლების განამტკიცებლად, აქტიურ სახელმწიფო ბალანსის დასამყარებლად, საფრანგეთისა, რუმინეთისა და იტალიასთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ და ჯარში დისციპლინის განსამტკიცებლად.

ეკონომიური ზომები.

ლონდონი. „დეილი მეილი" იუწყება: ბანკების მიერ ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციაზე გაგზავნილმა გერი ბელმა განაცხადა, რომ თანამედროვე გაჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობიდან ერთად ერთ გამოსავალს იგი ხედავს იმაში, რომ სხვა და სხვა ერი ერთმანეთს დაეხმაროს. ბელის აზრით საჭიროა სხვა სახელმწიფოებმა მიბაძონ ინგლისს, რომელმაც დიდი სესხი გაუხსნა პოლონეთსა და ავსტრიას და ამ გვარად შესაძლებლობა მისცა მათ უზრუნველყოფილნი გახდარიყვნენ პირველ საჭიროების ნივთებით.

შრომის აკადემია.

ბერლინი. მაინის ფრანკფურტში ამ მოკლე დროში დაარსებული იქნება შრომის აკადემია, რომლის მიზანსაც შეადგენს: მუშების, მოსამსახურეების და წვრილი მოხელეების რჩეულ წარმომადგენელებისათვის იმგვარი განათლების მიცემა, რომ ისინი თავის პროფეს. ორგანიზაციების ღირსეულნი ხელმძღვანელნი შეიქმნენ. აკადემიაში მიიღებენ პროფ. კავშირთა მიერ წარდგენილ კანდიდატებს. აკადემიაში დანიშნული იქნება აგრეთვე მისაღები გამოცდები. აკადემიის კურსი იქნება ორწლიანი. პირველ წელში მსმენელები საერთო განათლებას მიიღებენ, შემდეგ კი სპეციალისტურს იმისდა მიხედვით, თუ ვის რა სურს და რა შეუძლია. აკადემიაში იქნება 3 ფაკულტეტი. პოლიტიკური, პროფესიონალური და ტეხნიკური. საერთო განათლების კურსზე ასწავლიან საერთაშორისო და საადმინისტრაციო უფლებებს, პოლიტიკას, პოლიტიკურ ეკონომიის, სახალხო მეურნეობისას, კანონმდებლობას და სხვ.

მიმოსვლა და ფოსტა რუსეთში.

მოსკოვი. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა ნება დართო ჩრდილოეთ სპარსეთში წერილების, ბანდეროლებისა და სხვ. გადაგზავნისა.

ნორმალურ მიმოსვლის დაშლის გამო სახ. კომისართა საბჭომ გამოაქვეყნა საგანგებო წესები სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლის შესახებ.

ლენინის ამხანაგად დაინიშნა. კინიჩენკო

„პრავდა" იუწყება: უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ და საგარეო საქმეთა სახ. კომისრათ დაინიშნა გაკომუნისტებული ვინიჩენკო.

## რ. ს. ფ. ს. რ. მისიის ცნობები

პოლონელებმა მინსკი აიღეს.

მოსკოვი. 17 (რადიო) „იზვესტია" სწერს: 16-ს უნდა დაწყებულიყო ფაქტიურათ დროებით. ზავი ფრონტებზე. პოლონელებმა, ისარგებლეს რა მით რომ დროებითი ზავის ჩამოგდების ვადამდე რამოდენიმე დღე რჩებოდა, დაიკავეს მინსკი — ცენტრი ბელორუსიის.

ჩვენს მიერ მიღებული დროებითი ზავის დაწვრილებითი პირობებში, არის ერთი მუხლი, რომლის ძალით პოლონელები ვალდებულნი არიან ზავის ჩამოგდების პოლონეთის და ბელორუსიის სახელმწიფო საზღვარს გალმა დადგენ კოსვინიდან დვინამდე.

მაშასადამე, პოლონელები ვალდებულნი არიან დასტოვონ უკვე აღებული მინსკი.

ჩვენ არ ვიცით შემდეგი განზრახვები პოლონელებისა, მაგრამ თვით მინსკის აღების ფაქტი გვაიძულებს მივიღოთ ყოველივე ზომები ფრონტის გასამაგრებლად.

# ახალი ამბები.

### სამინისტროში.

— ბრძანება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრისა. ხშირად მომდიოდა ცნობები, რომ ზოგიერთი პირები სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულების სახელით ახდენდენ რეკვიზიციას სურსათ სანოვაგის და განსაკუთრებით კი ნახშირისას. ასეთ შემთხვევას ქონდა ადგილი ამა წლის 8 ოქტომბერს. ჩემ მიერ დანიშნულ კვლევა ძიებით დამტკიცდა, რომ ერთ—ერთ ტყის მცველმა ყარაიაზის ტყის გამგის ბრაგილოვის დავალებით დაიჭირა ერთი ურემი ნახშირი, რომელიც უნდა გადასცემოდა გარე უბნის მილიციის უფროსს და რომელთაც წინასწარი მოლაპარაკება ქონებიათ ინჟენერ მალიასკისთან მისთვის ნახშირი ეშოვნათ. ვსცნობ რა ასეთ მოქმედებას ყოვლად დაუშვებლად, რაიც იწვევს ნახშირის ბაზარზე შემოტანის სრულიად შეწყვეტას და შეაქვს ისედაც გართულებულ ეკონომიურ დარგში არეულობა, ვუცხადებ სასტიკ საყვედურს ტფილისის მაზრის მილიციის უფროსს საქმისადმი ასეთ გულგრილობის გამოჩენის გამო და ვუბრძანებ სასტიკი თვალყური ადევნოს იმ გვარ მოქმედებას და მიიღოს ყოველგვარი კანონიერი ზომები მის მოსასპობათ. გარე უბნის მილიციის უფროსი კი გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან, ხოლო ყარაიაზის ტყის გამგის ბრაგილოვის მოქმედება ცნობათ მოქმედების მინისტრს სათანადო განკარგულებისათვის.

— სახალხო განათლების სამინისტროში. სახალხო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სავაჭრო სამრეწველო პალატის კომერციულ სასწავლებლის წესდება.

### სხვა და სხვა ამბები.

— სასურსათო საქმე. ნიხრის შეცვლა საბჭოს სასურსათო კომისიამ ნიხრში შემდეგი ცვლილება შეიტანა: წითელი ლობიო გირვანქა ღირება 25 მან. გუ რიის 26 მან. თეთრი 27 მ. ხახვი გირვანქა 15 მ. ქართოფილი გირვანქა 15 მ. კომბოსტო გირვანქა 5. ხის ნახშირი ფუთი 370 მ. ნაწილობრივ 380 მან. შეშის შესახებ ნიხრის მე-3-ე მუხლში შემდეგი ცვლილება არის შეტანილი: მეორე რაიონში 700 მ., მესამე რაიონში 1000 მან., მეოთხე რაიონში 1400 მ.

— ინჟ. ძნელაძის დაპატიმრება, შაბათს ღვინობისთვის 15-ს საგანგებო რაზმმა დააპატიმრა თბილისის რკინის გზის სახელოსნოების უფროსი ინჟენერი ძნელაძე.

### სამინისტროებში.

— მარგანეცის ექსპორტი, თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობებისა 1919 წლის ქრისტეშობისთვიდან საზოგადოება „ჩემოს" 226.677 ტონი მარგანეცი გაუყიდია. გასული წლის დეკემბერში გაუყიდია: 9,555 ტონი, თებერვალში 21.700 ტონი, მარტში 42,300 ტონი, აპრილში 39,100 ტონი, მაისში 27,500 ტონი, ივნისში 32,640 ტონი, ივლისში 65,000 ტონი, და სხვა. მარგანეცი გაყიდულია: ინგლისში 125,240 ტონი, საფრანგეთში 41,500 ტონი, იტალიაში 33,077 ტონი, ბელგიაში 20,600 ტონი, ჰოლანდიაში 21,100 ტონი, ამერიკაში, გერმანიაში და პოლონეთში 26.160 ტონი, ინგლისში ამ ჟამად საგანგებო კონტორა არის დაარსებული, ამ კონტორამ ევროპის ყველა ბაზარს უნდა მიაწოდოს მარგანეცი. ასეთივე კონტორის გახსნა განზრახულია ამერიკაშიაც.

ოქტომბრის 12 ევროპის სოციალისტური დელეგაციის წევრმა დებრიუკერმა ინახულა საზოგადოება „ჩემო" და ჟურულთან ხანგრძლივი საუბარი გამართა. დებრიუკერი დაინტერესა თვით საზოგადოების ორგანიზაციამ და მისი მოქმედების ფარგლებმა. დებრიუკერი თავის მხრით დაპირდა საზოგადოებას, რომ იგი ყოველ ზომას მიიღებს ბელგიისა და საქართველოს შორის სავაჭრო დამოკიდებულების განსაცხოვლებლად.

— „ჩემო"-ს საზოგადოებამ საზღვარგარეთ გაგზავნილ დელეგაციის თავმჯდომარე ნ. ნიკოლაძიდან მიიღო დეპეშა ლონდონში „ჩემო"ს სააგენტოს დაარსების შესახებ.

— ზეთის მრეწველობა საქართველოში „ქიოროლასის" სააქციონერო საზოგადოებამ ფინანსთა, და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს მიმართა შუამდგომლობით საქართველოს საზღვრებიდან თხილის გატანის აღკრძალვის შესახებ. შუამდგომლობაში აღნიშნულია,

რომ საქართველოს ზეთის მრეწველობამ დაჰკარგა ბაზარი, რომელიც მას ნედლ მასალას აწვდიდა. ამიტომ იყო ცდა თხილიდან ზეთის გაკეთებისა. ამ ცდის შედეგი იყო ის, რომ საუცხოვო ხარისხის ზეთი გამოვიდა. ,,ქიორომასის'' საზოგადოებამ გადასწყვიტა დაიწყოს თხილიდან ზეთის კეთება. ამიტომ საზოგადოება ფრიად დაინტერესებულია შემდეგი საკითხით: უზრუნველყოფილია თუ არა რესპუბლიკა საკმაო ნედლი მასალით. საზოგადოება შუამდგომლობს რესპუბლიკიდან თხილის გატანის აკრძალვისა და მისი საქართველოში შემოტანის ნებართვის შესახებ.

## დაიწყო პურის რეკვიზიცია.

სოფელ ბადიაურში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: ადგილობრივ მცხოვრებს ბ-ნ გოროვოის მიადგა მომარაგების სამინისტროს სიღნაღის მაზრის რწმუნებული, ბ-ნი თავდიშვილი და მოსთხოვა. გოროვოიმ განუცხადა, რომ მან მაზრის ერობაზე კიდევაც გაჰყიდა ასი ფუთი ხორბალი შეთანხმებით იმ ფასებში, რომლსაც ერობა იძლეოდა,— 800 მანეთად ფუთი და რომ ეხლა მას ხორბლის გაყიდვა არ სურდა საზოგადოთ და კერძოდ იმ ფასებში, რომელსაც მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი იძლეოდა.

გოროვოი ყუბანის ოლქოდან არის წამოსული და მადიაურში, ეწევა სანიმუშო ხორბლის კულტურას. მისი ყანები ყველასათვის სამაგალითო და ახლო მცხოვრებნი მისგან ყოველ წლიურად საგანგებოდ დიდძალ სათესლეს იძენენ. მომარაგების სამინისტროს რწმუნებულმა ყურადღება არ მიაქცია ბ-ნი გოროვოის ნება-სურვილს, მას დაემუქრა ერთი როტა ჯარისკაცების შემოსევით, უკეთუ ხორბლის გაცემას არ დასთანხმდებოდა და დაშინებულ გოროვოის ძალის ძალა ხამასი ფუთი დასტოვა, მისგანვე რწმუნებულისაგანვე, დათქმულ ფასებში, ფუთი მოტანით 1600 მან. მოქალაქე გოროვოიმ პროტესტი განაცხადა ამის წინაამდეგ, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს და ისიც მაშინ გაუჩუმდა. გოროვო ის იცის, რომ პურზე ჯერ მონოპოლია არავის გამოუცხადებია და რომ ძალით, წინაამდეგ თვით პატრონის ნებაყოფილობისა, პურის წართმევა არც ერთ ლეგალურ დაწესებულებას არ დაუდგენია და ამიტომაც თბილისს გაემგზავრა სამართლის საძიებლად. ვინ იცის, იპოვის კი ამ სამართალს?

ეს შემთხვევა შიშს ბადებს სხვა მეურნეებშიაც, ვაი თუ ჩვენც ძალით წაგვერთვას ჩვენი ჭირნახულიო. მათთან ერთად, სამინისტროს რწმუნებულის ეთი საქციელი საერთო უკმაყოფილებას იწვევს.

საჭიროა ფხიზელი თვალყურის დაჭერა სამინისტროების აგენტებზე და მათი ჩაყენება კანონიერების ფარგალში, თორემ სულ ადვილი შესაძლებელია რომ მათმა უსაქციელობამ მთავრობას დიდი ვნება მოუტანოს.

ადგილობრივი.

## ავუნური ტაქტიკა.

14-ს ოქტომბერს (ახალი სტილით 1-ს) მცხეთობა იყო. ამ ეროვნულ დღესასწაულს ვინ იცის საიდან დაესწრო ხალხი: ფშავ-ხევსურეთ-თუშეთიდან, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან და მრავალი თბილისიდანაც. მცხეთის სვეტი ცხოველს პატივით ეპყრობიან მარტო ქართველები კი არა, სომხები და მუსლიმნიც და სხვებიც ამის გამო წინათ, როდესაც რუსის ბრძანებლობის ქვეშ ვიმყოფებოდით, ძველი ბიუროკრატებიც კი ვერ ბედავდენ, ან, უკეთ ვსთქვათ, არ კადრულობდენ მლოცველებისათვის ხელის შეშლას, პირიქით ხელს უწყობდნენ: ხშირად მატარებლებს უსასყიდლოთ უშვებდნენ და მთელი დღე ყოველ საათს შემდეგ მგზავრები მიჰყავმოჰყავდათ, ეხლა სულ სხვა სურათი გვერლებათ თვალ წინ. ჩვენი ახალ ფორმაციის ხელმძღვანელნი (აქ მე ვგულისხმობ პატარა კაცუნებს, რკინის გზის საექსპლოტაციო დარგის სფეროებში) სულის სიმშვიდეს კარგავენ მით, რომ მცხეთაში ბევრი ხალხი დაესწრობა და ვაი თუ ღმერთი მოიგონონო. ამისათვის ალბათ მცხეთობა დღეს მესამე კლასის ბილეთებზე ნიხრი დანიშნეს 200 მ. მაშინ, როდესაც წინა დღეს და დღესაც ბილეთი ღირს 35-37 მანათი. მკითხველების ყურადღებას მივაქცევ სხვა მხარესაც, რომელიც, უეჭველია, ყველას სიცილს მოგვრის.

განკარგულების გამცემთ ეშმაკობაში ზოგიერთებმა აჯობეს: ნაცვლად მცხეთისა ბილეთები აილეს გორამდე (უფრო მახლობელ სადგურზე არ აძლევდენ. მცხეთაში გენდომებათო) და წარმოიდგინეთ შორეულ მანძილზე გაცილებით ნაკლებ ფულს ახდევინებდნენ.

რას ნიშნავს ეს! უგუნურებით მოსდის ვისმეს თუ განზრახ? ჩვენ ვფიქრობთ განზრახ რომ ხალხს ხელი არ შეუწყონ ხატობაზე ,,ხეტიალისათვის''.

მაინც ეს ტაქტიკა უგუნური აღმოჩნდა, რადგანაც ხალხმა თავისი არ დაიშალა და მცხეთობამ ჩვეულებრივად ჩაიარა ხალხი აუარებელი დაესწრო ბევრი მითქმა-მოთქმა იყო მცხეთობას ამის გამო და, განსაკუთრებით, რჩევას მივცემდით ამისთანა გავკარგულების მოხდენას საკვლავისოთ თავი გაანებონ, თორემ შეიძლება ამ უტაქტობამ ცუდი შედეგები წარმოშობოს, ხალხმა თავისი სასტიკი მსჯავსი დაუდოს. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ გვაინტერესებს რა უფლებით და რომელ კანონის ძალით დანიშნეს ამ დღეს განსაკუთრებული ნიხრი?

დ. დიდლიახველი.

### ზაქათლის ოლქში

ჩვენ გვატყობინებენ, რომ სიგნილოში წელს უხვად მოუყვანიათ აბრეშუმის პარკი, რომელსაც ბოლშევიკები იძულებით ,,ყიდულობენ'' პატრონებისაგან, ართავენ ნუხის ქარხნებში და დამზადელი გადააქვთ რუსეთში. შესანიშნავი მოსავალია მთელს ოლქში აგრეთვე ბრინჯისა, მაგრამ ამ უკანასკნელსაც რუსი ბოლშევიკები აჩქარებულად მიეზიდებიან მოსკოვისკენ.

ასე ასრულებენ რუსეთ-აზერბაიჯანელები მოსკოვის ხელშეკრულებას.

## ილია წინამძღვრიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

საქართველოს მოქალაქეთ, კერძო პირთა და საზოგადოებათა ხაყურადღებოთ.

მიმდინარე წლის 2 ენკენისთვეს გარდაიცვალა ყველასათვის კარგათ ცნობილი, საზოგადო მოღვაწე და იშვიათი მამულიშვილი ილია ივანეს ძე წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ი.

იურიდიული ცოდნით აღჭურვილი, ჯერ ახალგაზდა მომრიგებელი მოსამართლე, დიდი ადგილი-მამულის პატრონი, ილია გამოდის საზოგადო ასპარეზზე სამუშაოდ სწორედ იმ დროს, როცა მის წრის შეძლებული ახალგაზდობა სრულიად არ ფიქრობს ხალხის კეთილდღეობაზე. იმ დროს, როდესაც თვით მყრობელი მეფის ადგილობრივი მთავრობა ხელოვნურ პირობებს ჰქმნიდა ქართული ენის სკოლიდან განსადევნად და საგანგებოთ რუსეთიდან მოწვეულ „ჩინოვნიკების“ ამ ნამდვილი ჯალათების, საშუალებით სულს უხუთავდა ყოველივე ეროვნულს,-განსვენებული ილია სარძიკველს უურის პირველს და მასთან სამაგალითო გეგმით აგებულს ეროვნულ სკოლას, რომელსაც სწირავს მთელ თავის ქონებას, თავისუფალ დროს, ცოდნა გამოცდილებას და უნარს: 32 წლის განმავლობაში იგი ნამდვილი მამის მსგავსად თავს დასტრიალებს საყვარელ სკოლას და ხელმძღვანელობას უწევს მას.

გულწრფელი და უანგარო მოღვაწის შრომა ჯეროვანი ნაყოფითაც დაგვირგვინდა: წინამძღვარიანთ კარის სკოლას არა ერთი და ორი პრაქტიკული მოღვაწე მიუცია მშობელ ერისთვის.

მუდმივი შრომითა და მოღვაწეობით დაღლილი ილია მოხუცებულობის ჟამს საყვარელ სკოლას შენობებით და მთელის ინვენტარით, რომლის ღირებულება ამ ჟამათ მილიონებით განისაზღვრება, სახელმწიფოს სწირავს.

საზოგადოების წარმომადგენელთა კრების მიერ არჩეულმა კომიტეტმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა განსვენებულის ნეშტის დაკრძალვის საქმის მოწესრიგება, გადასწყვიტა ამ ხალხში სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელების მესვეურის და თავდადებულ მოღვაწის ხსოვნის აღსანიშნავად დაარსოს განსვენებულის სახელობის სპეციალური ფონდი, რომლის დანიშნულების საბოლოვოთ გამორკვევა მოხდება საგანგებო კრებაზე.

კომიტეტი მიმართავს მოწოდებით კერძო პირთ, ბანკებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაიღონ თავიანთი წვლილი ილიას სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

შემოწირვა შეიძლება შემდეგი მისამართით: ნინოშვილის ქ. № 5, ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ბილანიშვილს.

კომიტეტის თავმჯდომარე—წარმომადგენელი ქართულ და კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა ს. ნ. ყაზახაშვილი.

კომიტეტის წევრნი:

წარმომადგენელი სახალხო განათლების სამინისტროსი კ. მიქაბერიძე.

წარმომადგენელი მიწადმოქმედების სამინისტროსი ს. მეგრელიშვილი.

წარმომადგენელი წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა და მასწავლებელთა კავშირის ბიუროსი ვ. ბურჯანაძე.

წარმომადგენელი კულტურ-ტეხნიკურ სასწავლებლის ი. ე. გამყრელიძე.

წარმომადგენელი ცენტრო ბანკისა ვ. ა. გოთუა.

წარმომადგენელი წინამძღვრიანთ კარის სკოლის ნამოწაფართა მ. მამულაშვილი.

მდივანი კომიტეტისა—წარმომადგენელი მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობათა საბჭოსი გ. წინამძღვარიშვილი.

## ჩვენი კორესპონდენტები

### ს. ველისციხე.

მევენახეთა ყრილობა.

2.

წინამძღვრიშვილის მოხსენებას ყრილობა ერთხმათ იღებს ცნობად.

კ. გუიმყრელი კითხულობს მოხსენებას ველისციხის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის მოქმედების შესახებ. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, აღნიშნული ამხანაგობა დაარსებულა 1911 წ. 160 წევრის შემადგენლობით.

1915 და 1916 წლ. განმავლობაში ამხანაგობას დაურიგებია თავის წევრთათვის 64,000 ფუთი პური: 1917 წელს შეუძენია 2.000 ფ. პური., 1000 ფუთ. ფქვილი. 3.000 ფ. სიმ. და იმავე წელს დაუთესია და მოუხნავს 50-მდე დესეტ. ხიმინდი, რომელიც დაურიგდა წევრებს ფ. 20 მანეთად, როცა ბაზარში ფასობ და 40 მან. იმავე წელს მოუწყვია ლგინით გირავნობის ოპერაცია; შეუძენია სამეურნეო იარაღები.

1918 წ. როცა მძვინვარებდა ყოველნაირი სახადები შეუქმნია ქსენონი და დაუარსებია საკუთარი აფთიაქი.

1919 წ. მოუტანია ამხანაგობას 1500 ფ. მავთული: დღიდან დაარსებისა 160 წევრია და 2,5582 მან. წლიურ ბალანსით იზრდება დღითი დღე. დღეს 2000 წევრი ჰყავს და თვიურად 6000,000 მდე მანეთს ბალანსი. დასასრულ თვის მოხსენებისა ბ. გიქიმყრელი ამხანაგობისათვის მოითხოვს დახმარებას 6 ვაგონი შაბიამანით და 6 ვაგონი გოგირდით ყრილობა იღებს ცნობად მის მოხსენებას.

თავმჯდომარის წინადადებით ყრილობა გადადის დღიურ წესრიგზე.

გ. წინამძღვრიშვილი. მომხსენებელი შეეხო ჩვენი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას, საზოგადოდ მის მნიშვნელობას მშობლიო ქვეყნისათვის. მან აღნიშნა, რომ ,,ჩვენ სახელმწიფოს ქონებრივ დოვლათის შექმნაში სასოფლო მეურნეობას უდიდესი ადგილი უჭირავს ამისთვის საჭიროა სახელმწიფომ იზრუნოს საქართველოს სასოფლო მეურნეობას მაღალ კულტურულ დარგების განვითარებაზედ და შრომის ნაყოფიერების მომატებაზე. მაღალ კულტურის დარგთა შორის საქართველოს სასოფლო მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეღვინეობა. მევენახეობას.

მასთან მევენახეობის წარმოება არის ფრიად ,,რისკიანი'' სეტყვისა და სხვა გვარ ატმოსფერიულ მოვლენათა და ავადმყოფობათა მეოხებით. დაუსრულებულმა მსოფლიო ომმა სრულიად შეარყია სასოფლო მეურნეობის საფუძველი და ჩვენ სასოფლო მეურნეობაშიც შესამჩნევი გარდატეხა მოახდინა. მოგვწყვიტა რა იაფი პურის მიღების საშუალებას, დიდ საფრთხეში ჩააგდო ყოველი ჩვენი დარგი სასოფლო მეურნეობისა. პურის საშინელი სიძვირის გამო ქართველი ხალხი სტოვებს ამ უკანასკნელ წლებში მრავალ წლობით შესწავლილ წარმოებულ ძვირფას მეურნეობას და გადის უფრო იაფი სახელდახელო და დღეს დღეობით უფრო შემოსავლიან დარგზედ ხვნა თესვაზედ. სხვა მაღალ კულტურულ დარგთა შორის ყველაზედ მეტად მევენახეობა დაზარალდა- უკანასკნელ წლებში სრულიად მოისპო მევენახეობის სივრცის ზრდა რაიც წინეთ ყოველ წლიურად ვენახეობის რაოდენობის თითქმის 10 პრო. უდრიდა. აქ მომხსენებელს მოჰყავს ცნობები 1916 წლიდან 1920 წლის მეორე ნახევრამდე ღვინის და პურის გაზიდვის შესახებ კახეთის რკინის გზით, რომლითაც სჩანს, რომ კახეთში პურის შეზიდვა—გაზიდვა გარედგან 1916 წელს თუ უდრიდა 1.071.331 ფუთს იგი თან და თან კლებულობს და 1920 წელს სულ რამდენიმე ასეულ ფუთზე ჩამოდის- პირიქით კახეთიდან პურის გამოტანა გასაოცრად იზრდებოდა. თუ 1916 წელს გამოტანილა კახეთიდან 9727 ფუთი 1920 წ. პირველ ნახევარს კი ე. ი. როცა უკვე გამოზიდულია წინა წლის მოსავალი—გამოტანილა 524177 ფ. სამაგიეროდ ღვინის გამოტანა თანდათან კლებულობს და თუ 1916 წელს გამოუტანია ბრუტო 445839 ფ. ღვინო გამოუტანია მხოლოდ ბრუტო 228.796 ფ. შექმნილ კრიზისის დასაძლევად მომხსენებელმა მიუთითა საჭირო ზომებზე; რომელიც უნდა მიიღოს სახელმწიფომ საზოგადოებრივ ორგანიზაციების დახმარებით:

1) საჭიროა შინაური წარმოების წახალისება მეზობელ სახელმწიფოებიდგან იაფი და დაბალ ღირსების ღვინის შემოტანის შეზღუდვით და დაბეგვრით. თუ შემოტანის აღკრძალვით.

2) უცხოეთში გასატანად დანიშნულ ღვინის ბაჟიდან და აქციზიდან განთავისუფლება.

3) რესპუბლიკის საზღვრებში ღვინოზედ დადებული გადასახადის ნორმის შემცირება.

4) პარალელურად საჭიროა მევენახეთათვის ფართე დამარების აღმოჩენა.

ა) ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლაში სანერგეების დასაცდელ საჩვენებელ საქმის მოწყობა ბ) სეტყვასთან ბრძოლაში სავალდებულო ურთიერთ შორის დაზღვევის მოწყობით და სეტყვასთან საბრძოლველ საშუალებათა გავრცელებით სახელმწიფო მასშტაბით გ) იარაღების მიწოდებით.

ვ.

## თეატრი და მუსიკა.

სახელმწიფო ოპერაში.

დღეს: ,,ჰოფმანის ზღაპრები''.

ხვალ: ,,მანონ''

სახელმწიფო დარბაზი.

,,ოიდიპოს მეფე''.

ქ-ნ პიტოევის დრამა.

სეზონი იხსნება ხვალ ოთხშაბათს 20 ოქტომბერს იური ბელიაევის პიესა ,,ფსიმეთი''.

ქიხარევის კამერიულ თეატრში.

სეზონი იხსნება ხვალ 20 ოქტომბრიდან.

პირველი აბონემენტისათვის იდგმება ,,და ბეატრისა'' — მეტერლინკისა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის კვირის № 124. მოთავსებულია რეცენზია გივი გოლლენდისა, სადაც ეხება ჩემს ჩაცმულობას, რომ ინგლისურ პაიჭზე ყელიან ფეხსაცმელის ჩაცმა ყოვლად შეუძლებელია და ისიც თეთრი ყელისაო. თეთრ ყელზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ეგ რეცენზენტის გემოვნებაზეა დამოკიდებული, მხოლოდ რაც შეეხება საერთოდ ყელს, შემიძლიან დავარწმუნო ბ-ნი რეცენზენტი, რომ თუ არა ყელიანი, ინგლისურ პაიჭზე სხვა გვარი ფეხსაცმელის ჩაცმა შეუძლებელია,

იუზა ზარდალიშვილი.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხპ. კედია.


## მატარებელთა მიმოსვლა.

ღვინობისთვის 10-დან 1920 წ.

### თბილისიდან გადის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისაკენ | 10 ს. | 58 წ. | დილ. |
| | ბათომში ჩადის | 7 ს. | 27 წ. | დილ. |
| № 9 | ფოთისაკენ | 5 ს. | 34 წ. | დღით |
| | ფოთში ჩადის | 10 ს. | 45 წ. | დილ. |
| № 7 | ბათომისკენ | 10 ს. | 28 წ. | საღ. |
| | ბათომში ჩადის | 5 ს. | 52 წ. | საღ. |
| № 19 | ბორჯომისკენ | 3 ს. | 19 წ. | დღ. |
| | ბორჯომში ჩადის | 11 ს. | 25 წ. | დღ |
| | სალოღლისკენ | 7 ს. | 20 წ. | დილ. |
| № 4 | სანაინისკენ | 8 ს. | | დილ. |
| | სანაინში ჩადის | 5. ს. | | საღ. |
| | კახეთისკენ | 8 ს. | 30 წ. | დილ. |

### თბილისისკენ მოდიან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 10 | ფოთიდან | 3 ს. | 51 წ. | |
| | თბილისში მოდის | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| № 4 | ბათომიდან | 4 ს. | 9 წ. | დღ. |
| | თბილისში მოდის | 1 ს. | 1 წ. | დღ. |
| № 8 | ბათომიდან | 11 ს. | 37 წ. | ღამ. |
| | თბილისში მოდის | 7 ს. | 36 წ. | ღამ. |
| № 20 | ბორჯომიდან | 12 ს. | 22 წ. | ღამ. |
| | თბილისში მოდის | 7 ს. | 47 წ. | დილ. |
| | სალოღლიდან | 12 ს. | 10 წ. | დილ. |
| № 4 | სანაინიდან | 7 ს. | 30 წ. | დილ. |
| | თბილისში მოდ. | 3 ს. | 20 წ. | დღ. |
| | კახეთიდან თბილისში მოდ | 8 ს. | 20 წ. | ს. |

## საკურნალო

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

## მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

## თვალების ავადმყოფობის ექიმი

## მ. გოლშტეინი

სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქ. № 32.

# განცხადება

1-ლ ოქტომბრიდან დაიწყო მოქმედება თბილისში სამინისტროს მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმათ-

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ მომხმარებელ კოოპერატივებს და სადაც ამნაირები არ არიან—ეთემებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

## მომარაგების სამინისტროს

რომლიდანაც, სრული სღვასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა**: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ ,,ცეკავშირისაგან'', რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

## მატყლის ყიდვა-გაყიდვა

## კერძო პირთაგან აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4,000 მ.

ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4,500 მ.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონ

**შენიშვნა**: სართავ ს-ქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტრო საწყობიდან.

10—63.—6 მომარაგების სამინისტრო.

# მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას ,,მწყემსს'', რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა ,,მწყემსის'' საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდი ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით;

1, მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2. მეცხვარეს ამხანაგობა ,,მწყემსის'' საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

3. სახელმწიფო—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ—გარეთის ბაზარზე.—

მომარაგების სამინისტრო.

# ამხ. ,,პროვოდნიკი''

სოლოლაკის ქ. 4

## იყიდება ბითუმის ფასებში

არა ნაკლები თოფისა და დიუჟინისა მანუფაქტურა

## ქალის პერანგები და პირსახოცები

აგრეთვე მიღებულია უცხოეთიდან

პარტია შემდეგი საქონლისა

იდეალური ხარისხით, სიაფით და სახმარად სამზარეულო ფეჩი ,,ტიპტ'' ვაჟების, ქალების და ბავშვების კალოშები, ვაჟების, და ბავშვების კოსტიუმები სხვა და სხვა ხარისხის და ზომის.

ვაჟების ქუდები, პერანგები, ტილოს საყელოები და სახელოები, ზაპონკები, შესაკრავი ყელ სახვევები, ხელთათმანები, ცხვირსახოცები, ქალების წინდები. სხვა და სხვა ხარისხის, შარფები (ვრემ დე შინ), ყოველგვარი საპონი, კბილის ელექსიბი ,,ბენდიკტინი'' ფხვნილი, პასტი და კბილის სახეხი.

გარდა ამისა იყიდება: სხვა და სხვა კრემი ფეხსაცმელისათვის, ზონარები, რეზინის ქუსლები.

## ამერიკული ფეხსაცმელები ქალების და ბავშვების

მასტიკა იატაკისათვის ,,კოსმოსის'' ლაბორატორიის და სხვა და სხვა საქონელი.

78 3—1